იდენტობის განზომილებების, ცხოვრებით კამაყოფილებისა და დეპრესიის ურთიერთკავშირი

მადონა ჯოხაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, PHD.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევაში განხილულია იდენტობის ფორმირების პროცესები, იდენტობის 5 განზომილება, კერძოდ, მუდმივი ძიება, ალტერნატივების ძიება, სიღრმისეული ძიება, არჩევნის გაკეთება და არჩევანთან იდენტიფიკაცია, ასევე ცხოვრებით კმაყოფილებისა და დეპრესიის ცვლადები, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს თუ რა კავშირია იდენტობის განზომილებებს, ცხოვრებით კმაყოფილებასა და დეპრესიას შორის. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა ინტერნეტ გამოკითხვა, იგი ჩატარდა არაალბათური შერჩევით 287 რესპონდენტზე. მიღებულმა შედეგება გამოკვეთა დადებითი კავშირი ცხოვრებით კმაყოფილებას, დეპრესიას, არჩევნის გაკეთებასა და არჩევანთან იდენტიფიკაციას შორის, ხოლო უარყოფითი კავშირი ცხოვრებით კმაყოფილებასა და მუმივ ძიებას შორის; აგრეთვე დეპრესია დადებით კავშირში აღმოჩნდა მუდმივი ძიებისა და ალტერნატივების ძიების განზომილებებთან, ხოლო უარყოფით კავშირში - არჩევნის გაკეთებასა და არჩევანთან იდენტიფიკაციის განზომილებებთან. წინამდებარე კვლევიდან შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოს ახალგაზრდებში იმედგაცრუების და დეპრესიის გამომწვევია დიდ ხნიანი ალტერნატივების ძიება და მუდმივი ძიება. საქართველოში ახალგაზრდები არჩევნის გაკეთებასა და მასთან იდენტიფიკაციამდე ალტერნატივებისა და სიღრმისეული ძიების გარეშე მიდიან, რასაც მათთვის ცხოვრებით კმაყოფილების განცდა მოყვება და აღმოჩნდა, რომ მათთვის დეპრესია არ არის ხელის შემშლელი, რათა განიცდიდნენ ცხოვრებით კმაყოფილებას.